ვალენტინა სერგეევას ნკვდ-ს სკოლაში სამედიცინო ტერმინოლოგია ჰქონდა შესწავლილი და შეძლო ქიმიური ნივთიერებების დასახელებების გამოცნობა – ვერცხლისწყლის დარიშხანი, ციანიდი, ყველაფერი მიკროდოზებში, მერყეული ჩვეულებრივ ინგრედიენტებთან, – კითხულობდა ის, თუმცა ერთი რეცეპტი დაშიფრული იყო, დასახელებების ნაცვლად ციფრები და სიმბოლოები იყო მითითებული. შექმნის დროდ მითითებული იყო 1945 წლის 7 ნოემბერი. ხელმოწერა იყო არა მაიარნოვსკის, არამედ თავად ლავრენტი პავლეს ძე ბერიასი.

კრემლის სასაბჭოო მუშაობა 12 მარტის ქალი – ყველა მათგანი იყო სახალხო და უნაკლო რეპუტაციის. მათ იმ ხანებში კრემლის მონაგვებს ეძახდნენ, თუმცა ბერია მათგანის ცხოვრება ქალიან შორს იყო მონათესავე.

მაღალი, ქერა, სწორი პროფილის მქონე ვალენტინა ისტომინა კრემლში 1940 წელს მოხვდა, უცხო ენათა ინსტიტუტის დამთავრებისთანავე.

ის ბერიაზე შეამჩნია ერთ-ერთ სტუდენტურ შეხვედრაზე და პირადად გაუჩინა რეკომენდაცია კრემლში.

– ეს ქალიშვილი, – თქვა მან, გამოგვადგება, 5 ენა იცის და მაინც მღვმარება შეუძლია.

ისტომინა ნამდვილად იყო საჭირო. ის საერთაშორისო მიღებებზე არა მხოლოდ ემსახურებოდა მაგიდებს, არამედ ისმენდა უცხოური დელეგაციის საუბრებს, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ რუსი მოსამსახურეები მათ საუბრებს ვერ გაიგებდნენ.

შემდეგ კი ვალენტინას ჩანაწერები პირდაპირ სტალინის მაგიდაზე ხვდებოდა.

„კრემლის უჩინარი“, ასე უწოდებდნენ კიდევ ერთ ახალგაზრდა მოსამსახურეს მარია პეტროვას. უპრეტენზიო, ჩუმი გოგონა ფლობდა უნიკალურ შესაძლებლობას, გამხდარიყო ინტერპრეტის ნაწილი ისე, რომ არავის შეეჩინა. ადამიანები მისი თანდასწრებით ისე ლაპარაკობდნენ, თითქოს ის არც არსებობდა. სწორედ პეტროვამ მოისმინა მალენკოვის და სრუშოვის საუბარი 1952 წლის მარტში, როცა ისინი განიხილავდნენ, როგორ უნდა მოქცეულიყვნენ „შემდეგ“!

მარია პეტროვას დღიურები მისი გარდაცვალების შემდეგ იპოვეს 1987 წელს და გახდა კიდევაც ეს დღიურები სენსაციური ისტორიკოსებისთვის, მაგრამ ყველაზე გამოუყენებელი ქალად კრემლის ქალბატონებს შორის შორის მაინც სვეტლანა ალილუევა იყო, სტალინის ქალიშვილი. 1932 წელს, დედის თვითმკვლელობის შემდეგ, ის იშვიათად დადიოდა მამის მიერ მონაწილე ბანკეტებზე, მაგრამ, როცა გამოჩნდებოდა, ატმოსფერო იცვლებოდა.

ვალენტინა იგონებდა 1948 წლის ნოემბრის ვახშამს, როცა სვეტლანა მოულოდნელად მოვიდა კრემლში უახლოესი აგარაკიდან. სტალინი გამოეცხადა, გაახალგაზრდავდა, ქალიშვილი სუფრაზე გვერდით მოსვა, თავისი ხელით უსხამდა ღვინოს და ალერსიანად ეკითხებოდა შვილიშვილების შესახებ.

– სვეტოჩკა, – ამბობდა გელადი და მის ხმაში განსაკუთრებული სინაზე შეიმჩნეოდა, – შენ მე იშვიათად მნახულობ.

– რა გქნა, ყოველთვის დაკავებული ხარ, მამა, – უპასუხა სვეტლანამ და ბერიას შეხედა.

– სვეტლანა იოსიფოვნას არ უყვარს ქართული სადღე-რძელობები, – თქვა ბერიაზე გულდაწყვეტილი ტონით და დასძინა, – მოსკოვის ინტელიგენციას სცემს უფრო მეტ პატივს.

იმ პერიოდში სვეტლანას რომანი ჰქონდა ებრაელ კინორეჟისორ კაპლერთან, რომელიც შემდეგ ბანაკში გაგზავნეს. სტალინი გაბრაზდა.

– ლავრენტი, ჩემი გოგონას არჩევანის განხილვის დრო არ არის ახლა. – თქვა მან.



სვეტლანა სტალინა

სტალინი – ბენიალური „დიქტატორი“

ბერია გაჩუქდა, მაგრამ ვალენტინამ შეამჩნია, ბერიაზე სიბრძნისგან ისე მოუჭირა ხელი ბოკალს, რომ თითები გაუთეთრდა.

სვეტლანამ თავის ტკივილი მომიზეზა და მალე წავიდა. სტალინმა ის კარგამდე მიაცილა, შუბლზე აკოცა და როცა მაგიდასთან მოწყვნილი დაბრუნდა, თქვა:

– ის ძალიან ჰგავს დედას, – დედამისსაც არ უყვარდა ქართული სუფრა, ქართველები სუფრასთან ცხოველებად გადაიქცევიან, ამბობდა.

ყველა ღებდა. ნადეჟდა ალილუევაზე საუბარი აკრძალული იყო. იმ ხანებში კრემლში, სტალინის მიერ მონაწილე ქართულ სუფრებზე, ქალები არ სხდებოდნენ, მათ ჰქონდათ ე.წ. ქალბატონების მაგიდები, სადაც პოლიტიკოსების წევრების ცოლები იყრიდნენ თავს. ეს შეხვედრები კრემლის პატარა სასაზღვრო იმართებოდა და სუფრის წევრებს იგივე ოფიცინტები ემსახურებოდნენ, რომლებიც პოლიტიკოსების წევრებს.

ჭკვიანი და განათლებული პოლინა ჟემჩუჟინა, მოლოტოვის მეუღლე, რომელიც სახალხო კომისრად მუშაობდა თევზის მრეწველობაში, ამ შეხვედრების უნებლიე ხელმძღვანელი იყო. ის გახლდათ ერთადერთი ქალი, რომელსაც ასეთი თანამდებობა ეჭირა. ქალბატონების სუფრებზე, ძირითადად, განიხილავდნენ მოდას, საუბრობდნენ მაგვრებზე, უფრო ხშირად კი თავიანთი მეუღლეების ცხოვრებაზე.

– ვიარქსლავს ცუდად სძინავს, – თქვა ერთხელ პოლინა ჟემჩუჟინამ, – თითქოს რაღაცას ელოდებოდა.

– ყველა რაღაცას ელოდება, – თქვა აშხენ მიქოიანმა, – ანასტასია ამბობს, რომ მცირე გადაცდომა და შეიძლება ის დღე მისთვის უკანასკნელი იყოს.

ორი კვირის შემდეგ პოლინა ჟემჩუჟინა დააპატიმრეს...

V ნაწილი

პოლინა ჟემჩუჟინა იმავალმა სინისტრული მოქმედების მხარდაჭერაში დასდეს ზრალი. მოლოტოვმა თავი შეიკავა პოლინას დაპატიმრების ხმის მიცემაში მონაწილეობაზე. ეს სიკვდილამდე არ დაჰმყვამია სტალინს. ახლოვდებოდა 1950 წელი.

იმ წლის საახალწლო ბანკეტი ისტორიაში შევიდა, როგორც ღირსშესანიშნავი თარიღი; გელადს 70 წელი შეუსრულდა. იოსებ ბესარიონოვიჩმა გადაწყვიტა დღესასწაული ახალგაზრდულად ჩაეტარებინა – ცეკვებით, სიმღერებით, გართობით.

კრემლის გეორგიევსკის დარბაზი საზეიმოდ გადააკეთეს. დაამონტაჟეს სცენა ორკესტრისთვის, პერიმეტრზე განალაგეს პატარა მაგიდები. ცენტრში იყო საცეკვაო მოედანი. სტუმრად მოიწვიეს მთელი მოსკოვის ელიტა – მინისტრები მეუღლეებით, გენერლები, აკადემიკოსები, არტისტები.

ვალენტინა სერგეევა მთავარ მაგიდას ემსახურებოდა, სადაც თავად იუბილარი იჯდა.

სტალინი სადღესასწაულო განწყობაში იყო. ეცვა გენერალ-სიმუსის თეთრი კიტელი, მკერდზე ორდენებით და მედლებით.

– დღეს ცეკვავს ყველა, – განაცხადა მან და შამპანურით საყვარელი ასწია, – ვინც არ ცეკვავს, ის არ სცემს პატივს იუბილარს, – თქვა მან ოდნავი ღიმილით.

გაისმა ორკესტრის ხმა, დარბაზში ვალსი აგუგუნდა. საცეკვაო მოედანზე პირველი თავად სტალინი გამოჩნდა და კრემლის ერთადერთ პოლიტიკოს ქალთან – ეკატერინა ფურცევასთან ერთად.

გაისმა აპლოდისმენტები. შემდეგ დაიწყო სამხედრო ცეკვები.

– ლავრენტი, – დაიძახა სტალინმა, – გთხოვ, იცეკვე ნიკიტას მეუღლესთან.

ბერიაზე ვალსის საცეკვაოდ ხრუშოვის, ცოტა არ იყოს ცეკვისთვის მოუხერხებელი, მეუღლე – ნინა ხრუშოვა გამოიწვია. ბერიას სახეზე ეტყობოდა უკმაყოფილება.

თავად ხრუშოვმა საცეკვაოდ გამოიწვია მალენკოვის მეუღლე, რომელიც მასზე ერთი თავით მაღალი იყო, რის გამოც წვეილი სასაცილოდ გამოიყურებოდა. სტალინი იცინოდა და ტაშს უკრავდა. ღამის სამ საათზე გელადმა გადაწყვიტა თავისი საყვარელი ე.წ. გულახდილობის თამაში წამოეწყოს.

– ახლა შეგიძლიათ იცეკვოთ ვისთანაც გინდათ და ღიალ თქვით ყველაფერი, რაც გულში გაქვთ, ვინც თავს შეიკავებს, ეს ნიშნავს, რომ არაა პარტიის და სამშობლოს ერთგული, – თქვა მან.

სახელმწიფო უსაფრთხოების მინისტრი, მაღალი, წარმოსადგევი აბაკუმოვი დარბაზის შუაში გამოვიდა. ორკესტრი ტანგოს უკრავდა.

აბაკუმოვმა დაიწყო.

– მე, ამხანაგო სტალინ, ხანდახან ეჭვი მაპრება, სწორად გამოგავლენთ თუ არა ხალხის მტრებს. შეიძლება ზოგი მათგანი უდანაშაულოც იყოს.

– საინტერესოა, – თქვა სტალინმა და თვალები მოწკურა. – გააგრძელე, ვიქტორ, გააგრძელე.

– მე ყოველთვის ვასრულებ მრძანებებს, მაგრამ ხანდახან ფიქრობ, – განაგრძობდა აბაკუმოვი.

– ფიქრობ? შენი საქმე ფიქრი კი არა, დავალებების შესრულებაა, ვიქტორ, – თქვა სტალინმა რკინისებური ხმით.

აბაკუმოვი გაფითრებული დაუბრუნდა თავის ადგილს.

მოამზავა

ირანდა კალანდაძე

(გაგრძელება იქნება)




1949 წლის 21 დეკემბერი, მოსკოვის დიდ თეატრში იოსებ ბესარიონის ქა სტალინის 70 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საზეიმო შეხვედრა. პრაზიდიუმის პირველი რიგში: ლავარ კაბანოვიჩი, ბაო კადუნი, იოსებ სტალინი, ნიკიტა ხრუშოვი და დოლორეს იბარური (მარცხნიდან მარჯვნივ).

„აშშ-ის ელჩი თურქეთში ტომ ბარაკი არამარტო ჩვენს რესპუბლიკის საშინაო საქმეებში ეწევა, არამედ საგარეო პოლიტიკაშიც, თავდაცვაშიც და უსაფრთხოების საკითხებშიც. ელჩი მოქმედებს არა როგორც დიპლომატი, არამედ როგორც ვასალის ნაცვლი“, – წერს თურქეთის ყოველდღიური გაზეთის „ჰუმურეთის“ (Cumhuriyet) პოლიტიკური მიმომხილველი მეჰმედ ალი გიულერი სტატიაში სათაურით „აშშ-ის ელჩი თურქეთის წინააღმდეგ შეთქმულებას აზიადებს“, რომელშიც განხილულია აშშ-თურქეთის ურთიერთობის პრობლემური საკითხები ახლო აღმოსავლეთისა და კავკასიის რეგიონებში.

ბთავაზობთ
კუბლიკასციას
შემოკლებით:

Cumhuriyet



რაც ხანჯალი იქნება სამხრეთ კავკასიისათვის და ბორკილი სომხეთისა და აზერბაიჯანისათვის.

რამდენიმე თვის წინ ტომ მარაკმა ასეთი რამ განაცხადა: „თურქეთი, ისრაელი, სპარსეთის ყურის ქვეყნები, სირია, ლიბანი, ერაყი, ასევე მაგრმაიჯანი და ყუხეთი... თუ მათ გავაერთიანებთ, მივიღებთ ყველაზე ძლიერ რეგიონს მსოფლიოში“. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ელჩმა ისეთი რუკა დახატა, საიდანაც ამოშალა ევროპტე და ირანი, რაც, თავიდან არსით, ტრამპის რუკას წარმოადგენს სახელწოდებით „ახალი ახლო აღმოსავლეთი“.

**რატომ დუმს
თურქეთის
ხელმძღვანელობა
და არ რეაგირებს?**

ტომ ბარნაჰი, აშკარაა, ისე მოქმედებს როგორც აშშ-ის ნაცვალთა წევრი და ცდილობს განახორციელოს

ტომ ბარაკი, ელჩია თუ პასალის ნაცვალი?!

აქვს წინათ ტომ ბარაკმა აბუ-
ლაბში (არაბთა საშვიროებში)
თურქეთისთვის მიუღებელი გა-
სვლა გააკეთა, რომელმაც რუ-
სეთ-თურქეთის ურთიერთობას
უხეობა. ამერიკელი ელჩის
თქმით, თურქეთს რუსეთისაგან
არ უნდა ეყიდა ჰაერსაწინააღ-
მდეგო სარაკეტო სისტემა C-400,
რის შეღებვას ანკარამ ვეღარ
შეიძინა ამერიკული F-35-ები. თუმ-
ცა ამ შეწყობის გამოცხადება
ოთხ-ხუთ თვეში შეიძლება“. ელ-
ჩმა აღნიშნა, რომ თურქეთი გზა
არის უარი თქვას რუსულ სარა-
კეტო კომპლექსზე: „რადგანაც C-
400 არ გამოიყენება, მისი თავი-
დან მოშორებას შეიძლება. თვით
ის ფაქტი, რომ თურქეთს რუსუ-
ლი რაკეტები აქვს, ვაშინგტონის
შეშფოთებას იწვევს“.

ტომ ბარაკის სამიზნე: კავკასია!?

გასულ კვირაში აშშ-ის ელჩი ბერძნულ გზით Kathimerini-სადაც მიყვებულ ინფორმაციებში ჰიდვც ერთხელ შეყვადა რეკომენდაციების მოყვებას, თუ რატორის საბაროო პოლიტიკა უნდა გააღრმავოს თუ დაკრძმება.

ტომ ბარაკმა ფაქტურად აშშ-ის გეგმა გაამჟღავნა კასპიისა და ხმელთაშუა ზღვების რეგიონში: „აზრეშუმის დიდი გზა“ აღმოსავლეთს და დასავლეთს სამი თუ ოთხი მარაზმურით აკავშირებდა ერთმანეთთან, - აღნიშნა მაჩირეკლმა დიპლომატმა, და ის შე-

იძლება ისევ განმეორდეს, მაგრამ ჩვენი, ანუ დასავლეთის ბლოკირება უკვე 1919 წლიდან ხდება“.

ტომ მარაგის თქმით, «ისრაელს არ ჭირდება კიდევ ერთი ძლიერი ნაციონალისტური სახელმწიფო რევიონში». ის, რომ ელჩმა 1919 წელი ასახენა, მან აშკარად თურქეთის რესპუბლიკა იგულისხმა (1919 წელს დაიწყო ქვესაიუსტების მოძრაობა ახალი თურქული სახელმწიფოს შექმნისთვის).

Kathimerini-სადმი მიცემულ ინტერვიუში ამერიკელმა ელჩმა აღნიშნა: „ჩვენ გვაქვს კასპიის ზღვა, რომელიც მდიდარია სასარგებლო წიაღისეულით და სხვა რესურსებით. კასპიის ზღვა მილსადენებით, თურქეთის გავლით, სწელთაშუა ზღვას უკავშირდება“. ხელაფთ, როგორ ამბობს? – „კასპიის ზღვა ჩვენი ზღვა არისო“. და თუ ამას დავამატებთ „დონალდ ტრამპის სახელობის ზანგეზურის დერფფანს“, ნათელი ხდება, რომ ტომ ბარაკი სამხრეთ კავკასიის თავის რეგიონად თვლის!

Kathimerini-ს კორესპონდენტის კითხვაზე, „მნიშვნელოვანი არის თუ არა რეგიონის პრობლემატიკისათვის კვიპროსის პრობლემა“, დიპლომატმა ასე უპასუხა: „ღიახ, ჯან-მრთელ ორგანიზმში ჩირქვრავა არ წარმოიქმნება. სხეულის ყოველი ნაწილი უნდა განიკურნოს“. როგორც ჩანს, ელჩი კვიპროსს „ჩირქვრავას“ უწოდებს, უფრო ზუსტად კი მას მხედველობაში აქვს „ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკა“ და მიაჩნებს, რომ ახლო მომავალში ამაჲ კუნძულის მიმართ ახალ გეგმას აამოქმედებს.

**თურქეთ-ისრაელის
თანამშრომლობა –
კასპიიდან
ხმელთაშუაზაღა**

ტომ გარაკს აღწევს აქვს ნახევრე-
გი აზრ-ის გეგმები კასპიისა და ხეფა-
თაგან ზღვების რეგიონში. სარგებ-
ლოვს რა ოფიციალური რეაქციის
პარასეზოვით, ელიო გათავაზებულია
და თანის გეგმებს ნაბიჯ-ნაბიჯ ახმო-
ვანებს..

ამას წინათ, ნოემბერში, გაპრეინში გამოსვლის დროს, დიპლომატმა განაცხადა, რომ „თქვენ მალე იქნებით თურქეთ-ისრაელის თანამშრომლობის მონაწილე კასპიის ზღვიდან ხმელთაშუა ზღვამდე“.

კი მაგრამ, განა თურქეთი და ისრაელი ერთმანეთს ბევრ ფრონტზე არ ეჯახებიან? რომელ თანამშრომლობაზე ლაპარაკობს ელჩი? საიდან მოიტანა?

თუ წინა სიგნალებს გადავხედავთ, შეიძლება დავინახოთ, თუ როგორ ბეჭითად ცდილობს ელჩი რაღაც ამერიკული გეგმის შეკონკრეტებას.


მაგალითად, ტომ ბარაკი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ზანგეზურის დერეფანს, რომელიც 99 წლის განმავლობაში დონალდ ტრამპის გზა იქნება (ამერიკული კომპანიის დომინირება), შესაძლოა დერეფანში ამერიკელებმა დაქირავეული ძალებიც განლაგონ „უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად“.

გვგვა, როგორცავე გლოგაღური და რაგორიღური გარგორიღუბა აქვს. გლო-გაღური გარგორიღუბაში იგლოღისგა-გა გინური ინიგიაგინის „ერთი გვა, ერთი სარგყღის“ გლოგინგვა, სლო-რაგორიღური – თურქეთ-ისრაღის ფრონის გვაგნა ინანის ნინაღღღღ.

პრობლემა იმაშია, რომ აშშ-ის ეს გეგმა საბოლოოო ჯამში გულისხმობს შეთქმულებას თურქეთის წინააღმდეგ. ამიტომაც ანთო ბარაკის ყოველი განცხადება იმას მიანიშნებს, რომ იგი „პერსონა ნონ-გრატა“ უნდა გამოცხადდეს.. მიუხედავად ამისა, თურქეთის დიპლომატიური უწყება არანაირ რეაგირებამ არ ახდენს და ერთ ადგილზე არ სვამს ამ მიზნების, რომელიც თავისი განცხადებებით დიპლომატიის ჩარჩოებს მიმაგადის (ტომ ბარაკი ელჩად დანიშნამდე – 2025 წლის მარტამდე – აშშ-ის საინვესტიციო კომპანიის Colony Capital, Inc.-ის გენდირექტორი იყო).

რამდენად შეიძლება ეს გარემოება იმას ნიშნავდეს, რომ გეგმა და პოლიტიკა, რაზეც ტომ მარაჯი ლაპარაკობს, დონალდ ტრამპისა და რეჟეფ ერდოღანის შეხვედრის დროს იქნა განხილული თუთრ სახლში 25 სექტემბერს? ეს მალე გაირკვევა!!!

მოაზრება
სიზმონ
კილაძე



**დონალდ ტრამპი: უკრაინაში
გარიგებები ჩემს მოსვლამდე
დიდი ხნით ადრე დაიწყო...**



უკრაინაში ტერიტორიები ჩვენს მოსვლაზე დიდი ხნით ადრე დაპყრობა, ნამდვილად ვერ ვიფიქროთ, რომ ეს გამარჯვებაა, გვერდი მიწა დაპყრობეს, ქალიან პარტი ტერიტორიები, – ამის შესახებ აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა „პოლიტიკოსთან“ ინტერვიუში განაცხადა.

მისი თქმით, აშშ-ში არჩევნები გა-
ცალბეული და მოპარული რომ არ ყო-
ფილიყო, მსოფლიო ახლა უკრაინაზე
არ ისაუბრებდა.

„უკრაინამ ტერიტორია ჩემს მოსვლამდე დიდი ხნით ადრე დაკარგა. მთელი ზღვისპირა ზოლი დაკარგეს. შეხედეთ რუკებს. ათი თვეა, რაც აქ ვარ, მაგრამ დამზუნდით ათი თვით ადრე და შეხედეთ, მთელი ეს ზოლი დაკარგეს. და ეს ახლა უფრო დიდი, უფრო ფართო ზოლია. ზვერი მიწა დაკარგეს, ძალიან კარგი ტერიტორიები. ნამდვილად ვერ ვიტყვით, რომ ეს გამარჯვებაა. შემოძლია, გაჩვენოთ დიაგრამა. ზვერი მიწაა, რომელიც მათ დაკარგეს“, – განაცხადა აშშ-ის პრეზიდენტმა „პოლიტიკოსთან“ ინტერვიუში.

„იცი, დაფიქრდით, არჩევნები რომ არ ყოფილიყო გაყალბებული. ახლა ყველამ იცის, რომ არჩევნები გაყალბებული იყო, ეს მომდევნო რამდენიმე თვის განმავ-

ლომაშიც გამოაშკარავდება, ხმაბლლა და ნათლად, რადგან გვაქვს ყველანაირი ინფორმაცია. არჩევნები გაყალბებული და შოპარული რომ არ ყოფილიყო, ახლა თქვენ უკრინანებო არც კი ისაუბრებდით“, – აღნიშნა ტრამპმა ინტერვიუში.

ჯეფრი სეიდი:

ომი გაუმადლარი შვილივითაა!

„ვფროვებ არ არსებობს არა-
ვითარი ვაფროვებ სტრატეგია,
ვფროვებობის წყობი სახელმწი-
ფოვში ვი ინფრასტრუქტურის მფ-
ვფროვებობას ნაკლებად თანაფ-
რობლობა. ამავე დროს არიან ქა-
ლიან დაგეგმვაში, მათ არ აქვთ
გაგმა, ისინი ამერიკული ენერგო-
რესურსების გარეშე ფასების წი-
ნაზე არიან – იმ სახელმწიფოებთან,
რომლის ხელშეწყობა მათი უსაფრ-
თხოვია“, – ამის შესახებ გადაცემა-
ში „თბილისის დროით“ კოლუმბიის
უნივერსიტეტის მღვრალი განვითარე-
ბის ცენტრის დირექტორმა, პროფე-
სორმა **ჰეფრი სპაქსი** განაცხადა.

გადაცემის წამყვანმა **იან პრაუდმა** მას კითხვით მიმართა, რა ელის ევროპას, რომელიც ძალიან დიდ თანხებს ხარჯავს უკრაინაში მიმდინარე ომში და ამავე დროს მთელი ძალისხმევით ცდილობს ამ ომის გაგრძელებას.

„მსოფლიო ძალიან სწრაფად იცვლება, გამომდინა-



რე აქედან, ისეთი დიდი ეკონომიკური მნიშვნელობის რეგიონი, როგორც ევროკავშირია, საჭიროებს შესაბამის სტრატეგიას ციფრული ეკონომიკისთვის, ენერგორესურსებისთვის, ინფრასტრუქტურისთვის.

სამწახაროდ, ახლა ევროპის სტრატეგია ომის დაფინანსება, ომის, რომელიც არის გაუმძღარი შეილივით. ევროპამ საკუთარი თავი მოიმაწყვდია კუთხეში მას მერე, რაც რუსული ენერგორესურსები ჩაჭრა, ეს კი ორმხრივი სარგებლის მომტანი იყო. შესაბამისად კი ევროკავშირმა დაიძვირა ენერგორესურსები და იაფი რუსული ბუნებრივი აირის მადვირ ამერიკის შეერთებული შტატებისგან თხევად გაზს ყიდულობს. ახლა კი ევროკავშირის აპირებს რუსეთთან ომში ფულის დახარჯვას. ეს სიგიჟე ევროპელი პოლიტიკოსები - იქნება ეს სტარმერი მორიტანოში, თუ მერსი გერმანიაში, გენზაჟო, მაკრონი საფრანგეთში, ამას აპირებენ, მათ კი ამომრჩეველი ეწინააღმდეგება. მაკრონის მხარდაჭერა მოსახლეობაში 20%-ს თუ აღწევს, უკმაყოფილოება კი 60 და 70, 80%-საც აქ.

ასე რომ, ევროპაში არ არსებობს არავითარი ეკონომიკური სტრატეგია, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები კი ინფრასტრუქტურის მშენებლობისას ნაკლებად თანამშრომლობენ. ამავე დროს არიან ძალიან დამწეულნი, მათ არ აქვთ გეგმა, ისინი ამერიკული ენერგეტიკურსების მზარდი ფასების წინაშე არიან – იმ სახელმწიფოსგან, რომლის ხელშეწყობა მათი უსაფრთხოება, ეს დიდი შეცდომაა. მათ სურთ ჩინეთთან პროტექციონული პოლიტიკის წარმოება, ქვეყანასთან, რომელიც მათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორია ან იქნება უახლოეს მომავალში. ასე რომ, ევროპაში დიდი დამწეულობაა, სწორედ ამიტომ არის ევროპული ეკონომიკა ასეთ სიტუაციაში, – განაცხადა ჯეფრი საქსმა.

გათუმეი საგვუმო ბაღის კვების ბლოკს საწარმოო პროცესი შეუჩერეს!

სურსათის ეროვნულმა სააგენტომ გათუმეი საგვუმო ბაღის კვების ბლოკს საწარმოო პროცესი შეუჩერა, – ინფორმაციას ამის შესახებ სურსათის ეროვნული სააგენტო ავრცელებს.

მათივე ცნობით, შემოწმებისას კრიტიკული შეუსაბამოებები გამოვლინდა.

„სურსათის ეროვნული სააგენტოს აჭარის დეპარტამენტის ინსპექტორებმა, მიღებული შეტყობინების საფუძველზე, არაგვემური ინსპექტირება განახორციელეს გათუმეი, ტბელ აზუსერიძის ქ. N1-ში მდებარე საგვუმ-ვო ბაღში – „სტარ გათუმეი“ (ს/კ 345682692).

შემოწმებისას გამოვლინდა კრიტიკული შეუსაბამოებები, არასათანადო რეცხვა-დეზინფექცია და წყალმომარაგების პრობლემა. ასევე დადგინდა, რომ მიზნისპერატორი საქმიანობდა ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში რეგისტრაციის გარეშე. აღნიშნული შეუსაბამოებების გამო მიზნისპერატორი დაჯარიმდა და შეუჩერდა საწარმოო პროცესი დარღვევების გამოსწორებამდე. სურსათის ეროვნული სააგენტო მოუწოდებს მომხმარებლებს, რომ დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში ინფორმაცია დატოვონ ცხელ ხაზზე – 15-01.



ს/ს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“-ს განცხადება

ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2025 წლის 11 ნოემბრის N 1-1/407 ბრძანების შესაბამისად

საქართველოს მთავრობა ახორციელებს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მიერ შემუშავებულ „ენერგეტიკის სექტორის ღია პროგრამას“, რაც მოიცავს ელექტროგადამცემი სისტემის ნაწილის განვითარებას, მშენებლობას, რეაბილიტაციას, ასევე, ქვესადგურების გაფართოებას. პროექტის მიზანია საქართველოში ელექტროგადამცემი ქსელის გაძლიერება და ელექტროენერგიის გაზრდილი მოთხოვნა/მოხმარების დაკმაყოფილება. პროექტით გათვალისწინებული ელექტროგადამცემი ხაზი კახეთის რეგიონში განთავსდება. შესაბამისად, პროექტი უზრუნველყოფს ენერგომომარაგების სტაბილურობას კახეთის რეგიონში და შეამცირებს ენერგომომარაგების შეწყვეტის რისკს. პროექტი წარმოადგენს საქართველოს ელექტროგადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმის ნაწილს და მისი მიზანია გააძლიეროს ელექტროგადამცემი ქსელი საქართველოში, რათა გააუმჯობესოს ტრანსსაზღვრო ვაჭრობის შესაძლებლობები, დააკმაყოფილოს ელექტროენერგიის გაზრდილი მოთხოვნები და დააკავშიროს არსებული და დაგეგმილი ენერგეტიკული პროექტები, ძირითადად ჰიდროენერგეტიკული პროექტები (ჰესები).

კახეთის რეგიონში დაგეგმილია 110 კვ-იანი ელექტროგადამცემის ხაზის სტორი ჰესი – ქვესადგური „ახალი თელავი“ (სიგრძე 33 კმ) და 110 კვ-იანი ელექტროგადამცემი ხაზის „იყალბო“-ს ქვესადგურ „ახალი თელავი“ (სიგრძე 3.2კმ) შეჭრის მშენებლობის პროექტი. 110 კვ-იანი ელექტროგადამცემი ხაზის იყალბოს ქვესადგურ „ახალი თელავი“ შეჭრის პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ორჯაჭვიანი ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა, რომლის ძირითადი მიზანია ქვესადგურ „ახალი თელავი“ თავმოყრილი სიმძლავრის ქსელში გამოტანა, ასევე, კახეთში არსებული 110 კვ-იანი ქსელის საიმედოობის გაზრდა. აღნიშნული პროექტის განხორციელება შეამცირებს ენერგომომარაგების შეწყვეტის რისკს და საშუალებას მისცემს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“ დააკმაყოფილოს მზარდი მოთხოვნა ელექტროენერგიაზე.

პროექტის ზემოქმედების არეალში მოექცა თელავის მუნიციპალიტეტში, სოფელ ყარაჯალაში მდებარე ღერსუნ სამათოვის (36 20001069045), ვალერიანი ღერსუნ ოღლის (36 20001043847), რაული სამათოვის (36 20001027398), რაპილა სამათოვის (36 20001043848) და ფათმა მახაროვას (36 20001043881) თანასაკუთრებაში არსებული 6939 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ნაწილი – 86 კვ.მ მიწის ნაკვეთი (ს/კ N53.10.36.076).

უძრავი ქონების თანამესაკუთრებს ეცნობათ განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცათ დასახელებული პროექტის განხორციელების ფარგლებში მოქცეული მიწის ნაკვეთის ნაწილის (86 კვ.მ-ის) ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, სამართლიანი კომპენსაციის ანაზღაურების პირობით. ამავე შეტყობინებით შესაუთრებს მიენოდათ ინფორმაცია, რომ უარის შემთხვევაში, „სსე“ იმოქმედებდა კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გამომდინარე იქიდან, რომ მოცემულ შემთხვევაში ვერ მოხერხდა შეთანხმების მიღწევა, ქონების აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ჩამორთმევის საკითხი განიხილულ იქნა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2025 წლის 19 მაისის N1-1/184 ბრძანებით შექმნილი ექსპროპრიაციის საკითხების განმხილველი კომისიის მიერ.

2025 წლის 14 ნოემბერს გამოიცა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის N1-1/407 ბრძანება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ს/ს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“-თვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“, რომლითაც ექსპროპრიაციის უფლების მისანიჭებელ სუბიექტად დადგინდა „სსე“ და მას ექსპროპრიაციის უფლება მიენიჭა თელავის მუნიციპალიტეტში, სოფელ ყარაჯალაში მდებარე ღერსუნ სამათოვის (36 20001069045), ვალერიანი ღერსუნ ოღლის (36 20001043847), რაული სამათოვის (36 20001027398), რაპილა სამათოვის (36 20001043848) და ფათმა მახაროვას (36 20001043881) თანასაკუთრებაში არსებული 6939 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ნაწილზე – 86 კვ.მ მიწის ნაკვეთზე (ს/კ N53.10.36.076).

პროექტისთვის საჭირო მიწის ნაკვეთზე ექსპროპრიაციის უფლების მოსაპოვებლად კანონმდებლობით განსაზღვრული წესით ეტაპის გავლის უზრუნველყოფის მიზნით, „სსე“ უახლოეს პერიოდში დადგენილი მისი შესაბამისად მიმართავს სასამართლოს.

უძრავი ქონების თანამესაკუთრებს დამატებით ეცნობებათ სასამართლოში განცხადების შეტანისა და სასამართლოში საქმის განხილვის თარიღი.



მოტყუებით დაეუფლნენ ბანკის კუთვნილ 287 211 ლარს!..

პროკურატურამ ორი ფიზიკური და ერთი იურიდიული პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი ღვაწა დაიწყო

საქართველოს პროკურატურამ ჯგუფის მიერ, დიდი ოდენობით თანხის თაღლითურად დაუფლების და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტებზე ორი ფიზიკური და ერთი იურიდიული პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი ღვაწა დაიწყო.

„საქართველოს პროკურატურაში ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ საქართველოში ლიცენზირებული ერთ-ერთი საბანკო დაწესებულების კუთვნილი დიდი ოდენობით თანხის მოტყუებით დაუფლების მიზნით, ბრალდებულებმა საწარმო დააფუძნეს, გახსნეს საბანკო ანგარიშები და უნაღლო საბარათე გადახდების განსახორციელებლად, მანქანისგან მოითხოვეს და სარგებლობაში მიიღეს პოს ტერმინალი.

წინასწარ შემუშავებული დანაშაულებრივი სქემის შესაბამისად, 2024 წელს, საწარმოს პოს ტერმინალზე, ბრალდებულებმა მათ სარგებლობაში არსებული ქართული და უცხოური ბანკების ბარათებით, საქონლის შესყიდვის მრავალჯერადი, ფიქტიური გადახდები განახორციელეს და ბარათებიდან ჩამოჭრილი და კომპანიის ანგარიშზე ასახული თანხები, სრულად გადაიტყუეს ერთ-ერთი ბრალდებულის პირად საბანკო ანგარიშზე. აღნიშნულის პარალელურად, კომპანიის ანგარიშზე ნაშთის არარსებობის პირობებში, მათ გააუქმეს ბარათებიდან თანხის ჩამოჭრის ოპერაციები, რა გზითაც მოტყუებით დაეუფლნენ ბანკის კუთვნილ 287 211 ლარს.

შემდგომში, ფულის გათეთრების მიზნით, მანქანისგან მოტყუებით დაუფლებული და ბრალდებულის პირად საბანკო ანგარიშზე აკუმულირებული თანხები, დანაწევ-

რებით გადატანილი იქნა ბრალდებულების კონტროლირებად საბანკო ანგარიშებზე, რომელთა ნაწილი მიმართული იქნა კრიპტოვალუტის შესაძენად, ხოლო ნაწილი განაღდა და განაწილა დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებს შორის.

საქართველოს და უცხო ქვეყნის მოქალაქეს ბრალდება წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ჩადენილი, დიდი ოდენობით თაღლითობის და განსაკუთრებით დიდი ოდენობით უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტზე დაუსწრებლად წარედგინათ, რაც სასჯელის სახედ და ზომად 9-დან 12 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. იურიდიული პირის ბრალდება განსაკუთრებით დიდი ოდენობით უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტს მოიცავს, რაც ისტემა ლიკვიდაციით ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით და ჯარიმით.

პროკურატურა ბრალდებულებისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების შეამდგომლობით სასამართლოს კანონით დადგენილ ვადაში მიმართავს. საქართველოს გენერალური პროკურატურა აგრძელებს გამოძიებას დანაშაულებრივი ჯგუფის წევრების, ასევე ანალოგიური საქმიანობით დაკავებული სხვა ფიზიკური თუ იურიდიული პირების გამოვლენის მიზნით“, – ნათქვამია განცხადებაში.

შსს-მ უპრეცედენტო რაოდენობის – 926 კბ. ნარკოტიკული საშუალებები გაანადგურა, რომელთა ღირებულება ე.წ. შავ ბაზარზე 19 მილიონ ლარს აღემატება

შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანების საფუძველზე შეძენილმა მუდმივმოქმედმა კომისიამ, საქართველოს მასშტაბით სხვადასხვა დროს ჩატარებულ საგამომიწვეო ღონისძიებების შედეგად უკანონო გზაზემდებელი უპრეცედენტო რაოდენობის – 926 კილოგრამი სხვადასხვა სახეობის ნარკოტიკული საშუალებები გაანადგურა, რომელთა საერთო ღირებულება ე.წ. შავ ბაზარზე 19 მილიონ ლარს აღემატება, – ინფორმაციას შსს ავრცელებს.

უწყების ცნობით, საქართველო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის თანამშრომლებმა, სპეციალურ თანამდებრივ სტანდარტების მაღალტექნოლოგიურ დეპარტამენტში (ინსინერატორი) გაანადგურეს განსაკუთრებით დიდი ოდენობით სხვადასხვა სახის ნარკოტიკული საშუალებები, მათ შორის: „კოკაინი“, „ჰეროინი“, „მეთადონი“, „მდმა“, „ალფა-პეპ“, „კეტამინი“, „კლფედრონი“, „ბუპრონორფინი“,

„ტრამადოლი“, „კოდეინი“, „ლიბეპამი“ და „მარიხუანა“, ასევე, სხვადასხვა დასახელების ფსიქოტროპული და ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებები.



„არსებული კანონმდებლობის შესაბამისად, ნარკოტიკების განადგურების პროცესში, რომელიც გარემოსდაცვითი თანამდებრივ სტანდარტების შესაბამისად ჩატარდა, მუდმივმოქმედმა კომისიის წევრ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებთან ერთად, მონაწილეობდნენ გენერალური პროკურატურისა და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური

დაცვის სამინისტროს წარმომადგენლები. აღსანიშნავია, რომ ნივთიერებები ამოღებული ნარკოტიკული საშუალებები, სპეციალურად მოწყობილ, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად აღჭურვილ საცავში ინახება. ხოლო სისხლის სამართლის საქმეებზე სასამართლო განაჩენის დადგომის შემდეგ ნადგურდება“, – წერია ინფორმაციაში.

იმერეთში 14 წლის გოგო დაღა გახდა!

– ამის შესახებ „იფო იმერეთი“ წერს. სააგენტოს განმარტებით, ფაქტი რამდენიმე შესაბამის უწყებაში დაუდასტურეს.

ჩვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია უცნობია, აღნიშნული ინფორმაცია განეკუთვნება განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალურ მონაცემს. მომხდარზე დაწყებული გამოძიება, სისპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო ჩართულია არასრულწლოვანის საქმეში შეტყობინებისთანავე.

„პერსუონის“ პრემიერა „პარაკში“

12, 13 და 14 დეკემბერს, 20:00 საათზე, თეატრ „პარაკში“ „პერსუონის“ (სადაც სინათლეს ვამოწყდები) – პრემიერა გაიმართება.

როგორც თეატრის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია აღნიშნული, „პერსუონის“ (სადაც სინათლეს ვამოწყდები) არის ანასტასია ჭანტურაიას სადებიუტო, საავტორო ნამუშევარი, რომელიც ეფუძნება ცვლევით პროცესს. „სპექტაკლის მთავარი პერსონაჟი ქალია, რაც განსაზღვრავს მთელ სპექტაკლს, როგორც გენდერულად მგრძნობიარე დაკვირვებას თანამედროვე სამ-

ყაროზე. ავტორი იკვლევს, თუ რა გავლენა აქვს ბავშვობაში მიღებულ გამოცდილებას ემოციურ აღქმასა და ქალად ჩამოყალიბების პროცესში. სპექტაკლი ინტერპრეტაციას უკეთებს ძველი ბერძნული მითოლოგიიდან ცნობილ პერსეფონეს ისტორიას.

ამ მითის თანამედროვე გააზრების მცდელობაში გაერთიანებული თემებია: მოულოდნელად წარმოშობილი ბავშვობა, ქალიშვილობა, სექსუალური ძალადობა, შინაგანი ტრანსფორმაცია და საკუთარ თვითმყოფადობაში დაბრუნება. პერსე-

ფონეს მინისქვეშა დედოფლად გარდაქმნა სპექტაკლში სიმბოლურად ასახავს ქალად შედგომის მტკივნეულ პროცესს, რომელიც ამავდროულად ძალისხმევასა და გადარჩენის გამოცდილებას.


მონაწილეობენ: გივიკო ბარათაშვილი, ანასტასია ჭანტურაია, ლუკა ჯაფარიძე, აჩი არგანაშვილი; ფოტოგრაფი: ტასო უგლაშვილი; პოსტერის დიზაინი: Knock on Wood. პროექტი მხარდაჭერილია „გაეროს მოსახლეობის ფონდის“ მიერ. მის: მელიქიშვილის N20.



„უშენოდ არ შეიძლება“

16, 17, 20 დეკემბერს, 20:00 საათზე, მარჯანიშვილის თეატრის სხვადასხვა მიხედვით გადართმის შინაგანი მიხედვით დაღმრთული სპექტაკლი – „უშენოდ არ შეიძლება“ – პრემიერა გაიმართება.

სპექტაკლის შესახებ: „უშენოდ არ შეიძლება“ – ექსცენტრიკული კომედიაა სასიცოცხლო სამკუთხედზე, მობოქარ ვენეზუელა და ლალაზე. როგორ უნდა დაიბრუნო დაკარგული გრძნობები? ოჯახური შედეგებმა სიყვარულზე აგებული – შენარჩუნება კი მოთმინებაზე და პატივზე.



თარგმანისა და ადაპტირებული ტექსტის ავტორია მაია ჯაფარიძე; რეჟისორი – ციცინო კობიაშვილი; მონაწილეობენ: თეიმურაზ გილაძე, ანა სანია, ნინო ღუმუაძე.

წლის საუკეთესო სიმღერები ამერიკული ჟურნალის მიხედვით

The New York Times-მა წლის მუსიკალური შედეგები შეაჯამა და საუკეთესო სიმღერები დაასახელა.

ამერიკული ჟურნალის სიაში სხვადასხვა ჟანრის კომპოზიციები მოხვდა, რომლებიც თანამედროვე მუსიკის მრავალფეროვნებას ასახავენ.

სიაში მოხვდნენ: teit makris Sports car, Sleep Token-ის Caramel, ჯეფ Katseye-ის Gnarly, The Weeknd-ის Cry for Me, Huntr/x-ის What It Sounds Like, მულტფილმიდან „კვი პოპ ღემრებზე მონადირეები“, დრეიკის Nokia, CardiB-ის Bodega Baddie, კელანის Folded და სხვა კომპოზიციები.



ადამიანის გოლფასი ხელოვნური ინტელექტი და საფრთხეები

Google DeepMind-ის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა და ხელოვნური ინტელექტის სფეროში მსოფლიოში წამყვანმა ექსპერტმა, დემის ჰასაბისმა, საერთაშორისო სამიტზე განაცხადა,



რომ კაცობრიობის ტოლფასი გოგამი ხელოვნური ინტელექტის (AGI) შექმნა შეიძლება რეალურად იმდენ უკვე უახლოეს ათწლეულში.

ჰასაბისის თქმით, თანამედროვე ენობრივი მოდელები, მხოლოდ მნიშვნელოვანი გარდამავალი საფეხურებია. რეალური გარღვევისთვის საჭიროა კიდევ ერთი ან ორი ძირითადი მეცნიერული აღმოჩენა.

ამასთან, ექსპერტმა გააფრთხილა საზოგადოება მზარდ საფრთხეებზე: მისი თქმით, გოგამი განწყობილი ჯგუფების მიერ კიბერ თავდასხმებისთვის ხელსაწყოების ინტელექტის გამოყენება, საფრთხედ, უკვე რეალურად ხდება.

სამიტზე სხვა ლიდერებმაც დაუჭირეს მხარი მოსაზრებას, რომ ცვლილებები გარდაუვალია და რომ ხელოვნური ინტელექტი მომდევნო ხუთ წელიწადში შეცვლის პრაქტიკულად ყველაფერს.

Wikipedia-მ წლის ყველაზე პოპულარული სტატიების სია გამოაქვეყნა

პირველ ადგილზე გაიდა სტატია მემარჯვენე აქტივისტ ჩარლი კინკზე, რომელიც 10 სექტემბერს იუბილეს შტაბში დაგაფიქსირდა. კინკის გარდაცვალებიდან მეორე დღეს მისი სტატია თითქმის 15 მილიონჯერ ნახეს.

მეორე ადგილზეა გვერდი „2025 წელს გარდაცვლილები“. ის არასოდეს დაშვებულა მესამე ადგილზე დაბლა ყველაზე ნაკიბადი სტატიების ყოველწლიურ სიაში, აზუსტებენ ვიკიპედიის წარმომადგენლები.

ონლაინ-მეცნიერებაში მესამე ყველაზე ნახსი გვერდი გახდა სტატია ედ გინზე – ამერიკელ სერიულ მკვლელზე. გვერდის პოპულარობა შეიძლება აიხსნას Netflix-ის ანთოლოგიური სერიალის „მონსტრი“ ახალი სეზონის გამოსვლით, რომელიც მანიაკებსა და მკვლელებს ეძღვნება, ბოლო სეზონი კი სწორედ გინზე გადის.

მეოთხე ადგილი სიაში დაიკავა სტატია აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპზე. მეხუთე ადგილი კი გვერდმა, რომელიც რომის პაპ ლეო XIV-ს ეძღვნება.

15 წლის გენიოსი – „პატარა აინშტაინი“

15 წლის გენიოსმა თინეიჯერმა კვანძური ფიზიკის დოქტორის ხარისხი მიიღო.

მისი სახელია ლორან სიმონ-სი, ვენდერკინდი, რომელმაც ცხოვრების უმეტესი ნაწილი განათლებით იხილა ტემპით გაიარა, როგორც დედამიწაზე აქამდე თითქმის არავის გაუკეთებია. დანაშაუთი სკოლა მან ოთხი წლის ასაკში დაიწყო და ექვსი წლის ასაკში დაასრულა.

თორმეტი წლის ასაკში კვანძური ფიზიკის მაგისტრის ხარისხი ჰქონდა, სადაც ბოზონებს, შავ ხვრელებს და მათემატიკას სწავლობდა, რომელიც სამყაროს ყველაზე იდუმალ ნაწილებს აღწერს.

ამ კვირაში გენიოსმა „პატარა აინშტაინმა“ ანტერპრენის უნივერსიტეტში დოქტორის ხარისხი დაიცვა, რაც მას ფიზიკის დოქტორის ხარისხს მქონე ადამიანად აქცევს.



რისის მქონე ყველაზე ახალგაზრდა ადამიანად აქცევს მსოფლიოში.

მისი ნაშრომი იმ იდეებს ეფუძნება, რომლებსაც მკვლევრების უმეტესობა ოცდაათი ან ორმოცი წლის ასაკამდე არც ეხება. ლორანისთვის ეს ფენომენალური ინტელექტუალური ზრდა ყოველთვის ღრმად პირადული იყო – საქმე იმაშია, რომ როდესაც ის თერთმეტი წლის იყო, გენი-ბავშვად დაკარგა, რამაც მას უდიდესი დარტყმა მიაყენა. ამ ფაქტის გამო მისი მიზანი გახდა იმის გაგება, თუ როგორ გავზარდოთ ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა – არა საკუთარი თავისთვის, არამედ იმისთვის, რომ სხვებმა უფრო დიდხანს და ჯანმრთელად იცხოვრონ.

მკვლევარები მის განსაკუთრებულ მესხერებას ფენომენალურად მიიჩნევენ. ლორანს IQ-ც ძალიან მა-

ღალი აქვს, 145, რაც მხოლოდ ადამიანების 0.1 პროცენტს აღენიშნება პლანეტაზე.

აშშ-სა და ჩინეთის ტექნოლოგიურმა კომპანიებმა უკვე მიმართეს მის ოჯახს სარფიანი შეთავაზებებით, მაგრამ გენიოსი თინეიჯერის მშობლებმა უარი თქვეს შეთავაზებებზე და მოითხოვეს, რომ მათი შვილი საკუთარი ტემპებით განვითარდეს.

ლორანი არ არის ყველაზე ახალგაზრდა დოქტორანტი. ეს რეკორდი კარლ ვიტეს ეკუთვნის, რომელმაც დოქტორის ხარისხი 1814 წელს, ცამეტი წლის ასაკში მოიპოვა.

ახლა, თერთმეტი წლის ასაკში, მას სურს მთლიანად შეიცვალოს მოღვაწეობის სფერო და გადავიდეს მედიცინის შესწავლაზე. ლორან სიმონსი სიკვდილის დამარცხებას ცდილობს.

საქართველო

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
სვანტა ქობულია
(599-36-00-35)

რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაქიძე
(597-22-07-04)

შემოქმედებითი ჯგუფი:
ალექო ასლანიშვილი, თემურ ქორიძე, თათარ ტურაბელიძე, გია პლატონიშვილი.

პირისა და მარკეტინგის მენეჯერი
რუსუდან ქობულია
(577-77-27-17)

ტექნიკური რედაქტორი:
კახა ქორიძე.

სტილისტი-კორექტორები:
ნაირა კვეკელია, მაია იორამაშვილი.

ოპერატორი
შორენა გვილია.

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
გიორგი ნადარეიშვილი.

მისამართი:
თბილისი, აკაკი წერეთლის N116

წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:
sak@sak.ge

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელებიდან და სხვა მდინა-საშუალოებით და გადმოგზავნილ, ან უხსოვრო პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე.

იზექდება სტამბა
„ქოლოში“
ე. ბაღდავაძის №3

კოდორი
კავშირი
uac(უაკ)070.4(479.22)
C-323



რეკლამისტის დარეკეთ:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ნაგისიფი თანხა
ჩარიცხეთ ანგარიშზე:
GE90BG0000000538329790

მოგაქვთ ნომერი გამოვა პარასკევს, 12 დეკემბერს